აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო შიქმნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 146-ე მუხლის საფუძველზე 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება;
2. რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის გაცნობა და სამუშაო ჯგუფების შექმნა.

საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით,სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისგან შეიქმნა 5 თემატური სამუშაო ჯგუფი (1. ინფრასტრუქტურა და ტურიზმი, 2. ბიზნესის განვითარება და სოფლის მეურნეობა, 3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, 4. განათლება და კულტურა, 5. გარემოს დაცვა). სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შესაბამისად სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადდა საპროექტო წინადადებები სამოქმედო გეგმებისათვის, შედგა სამოქმედო გეგმების ცხრილები მეთოდოლოგიის დანართი#1-ისა და დანართი #2-ის შესაბამისად. რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიები შეთანხმდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მეორე სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის განვითარების რეგიონული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხილვა და მოწონება.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ შეაფასა სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესაბამისობა და დასახული პროექტების თანმიმდევრულობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014-2021 წლებში განვითარების სტრატეგიასთან და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების პროგრამასთან მიმართებაში და მიიჩნია აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად. სამხარეო საკონსულტაციო

საბჭომ განიხილა აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები, მათი 2015 წლის ბიუჯეტების პროექტები და მიიჩნია, რომ ისინი თანხვედრაშია რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან და შესაბამის სამოქმედო გეგასთან. განხილვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

ლევან შონია

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე,

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ფოთში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი